



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 13
02/06/2021

13-06-4-202106021524



ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა“ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14, 27-ე და 66-ე პუნქტების და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენების წესი დანართი #2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმა დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 4.

დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა დანართი №4-ის შესაბამისად.

მუხლი 5.

დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი დანართი №5-ის შესაბამისად.

მუხლი 6.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო